2022 წლის 13 ოქტომბრიდან 23 ოქტომბრის ჩათვლით, მარნეულის მუნიციპალიტეტში (სოფლები: თექალო და აღმამედლო), შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ მხარდაჭერილი პროექტის - *„კოვიდ პანდემია და საქართველო: ახალი რეალობის ანთროპოლოგიური კვლევა“* (FR-21-14562) ფარგლებში, საველე ეთნოგრაფიული მასალის შესაგროვებლად, სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა ინსტიტუტის საქართველოს ეთნოლოგიის განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი, ანთროპოლოგიის დოქტორი, გრანტის ხელმძღვანელი **თეა ქამუშაძე.**

ფუნდამენტური კვლევის ფარგლებში, ანთროპოლოგთა სამეცნიერო ჯგუფი სწავლობს რეალობას, რომელიც პანდემიის დადგომის შემდგომ შეიქმნა და ყველაფერი ჩვეული და ტრადიციული საფრთხის ქვეშ დააყენა. ვირუსის გავრცელების შესაჩერებლად დაწესდა აკრძალვები, რამაც მნიშვნელოვნად შეცვალა ჩვენი ყოველდღიურობა და ცხოვრების ნირი. ადამიანთა შორის კონტაქტის შეზღუდვა და მათ შორის ფიზიკური დისტანციის დაცვა, რეალობის ვირტუალიზაცია, არსებითად ასხვაფერებს ჩვენ წარმოდგენებს ურთიერთობებზე, ტრადიციებსა და ზნე-ჩვეულებებზე. კვლევის მნიშვნელობა სცდება ვიწრო დარგობრივ ინტერესს და ფართო სამეცნიერო მნიშვნელობას იძენს. მთლიანობაში, კვლევის შედეგები პასუხობს ფართო საზოგადოებრივ ინტერესს, გავაანალიზოთ რეალობა, რომელიც ყველაფერს მანამდე არსებულს ცვლის და კიდევ უფრო მნიშვნელოვან კითხვას ბადებს: რა და როგორ შეიცვლება პანდემიის დასრულების შემდგომ? რა დარჩება და რა დაექვემდებარება ცვლილებას?